



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

15 ნოემბერი 2023



N 644/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ექსიმგრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ექსიმგრუპის“ (ს/კ. 405239674) მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია (წერილები 13.07.2023 N6597; 17.07.2023 N6763) თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება 339/ს; 19.07.2023) შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზმ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2019 წლის 22 იანვარს თერჯოლის მუნიციპალიტეტში შპს „ექსიმგრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-60). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მოწყობის სამუშაოების დაწყების შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საბაზისო პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმადაც, დაგეგმილია წარმადობის გაზრდა 1.644 ტ/სთ-დან 4.8 ტ/სთ-მდე. აღნიშნულის საფუძველზე, შპს „ექსიმგრუპის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილ იქნა თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ექსიმგრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება. 2022 წლის 9 მარტს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-165), რომლის თანახმადაც დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2022 წლის 10 მაისს შპს „ექსიმგრუპის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის

ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N34/ბრძანება N181/ს; 05.07.2022).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 2 ნაკვეთზე, საერთო ფართობით 51 000 მ², რომელთაგან 18 000 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 33.01.36.467) კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 20 წლის ვადით. ხოლო, 33 000 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 33.01.36.468) წარმოადგენს შპს „ექსიმგრუპის“ საკუთრებას (GPS კოორდინატები: X-312556, Y-4672058; X-312569, Y-4672111; X-312825, Y-4672155; X-312833, Y-4671988; X-312818, Y-4671948; X-312629, Y-4671902; X-312608, Y-4671971; X-312605, Y-4672000). ტერიტორია მდებარეობს ქუთაისის შემოვლითი გზის სამხრეთით - 820 მ-ში. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ყვირილა საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით - 200 მეტრით, ხოლო მდინარე რიონი დაახლოებით - 340 მეტრით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უახლოესი დაცული ტერიტორია (აჯამეთის აღკვეთილი და ზურმუხტის ქსელის მიღებული უბანი “Ajameti GE0000018”) საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 1500 მ მანძილით.

საწარმოს ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება საპროექტო შპს „მანგანუზ ინდასტრის“ ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 33.01.36.466), სადაც დაგეგმილია ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობა. სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს შპს „საქმილსადენშემნის“ მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდები: 33.01.36.046; 33.01.36.312; 33.01.36.311; 33.01.37.013), კომპანია აწარმოებს ასფალტ-ბეტონსა და ინერტულ მასალებს. ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 600 მ-ის დაცილებით მდებარეობს შპს „ბლექსი გრუპის“ (2020 წლის 10 ივნისის N 2-474 ბრძანება გადაეცა შპს „ასტექს“) ასფალტ-ბეტონის ქარხანა და ინერტული მასალების საწარმო, ხოლო ჩრდილოეთითა და დასავლეთით ძირითადად სხვადასხვა მესაკუთრის მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებია განთავსებული. საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს სამხრეთით 500 მ დაშორებით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმომდე მისვლა შესაძლებელია ქუთაისის შემოვლითი გზითა და ქუთაისი – ბაღდათი – აბასთუმანი – ბენარას (შ14) საავტომობილო მაგისტრალის მეშვეობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს შიდა ტერიტორიაზე არსებული გზები დაფარული იქნება მყარი საფარით.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა დაგეგმილი ცვლილების საპროექტო მახასიათებლების, მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ურთიერთშეწონის გათვალისწინებით. გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე მოსალოდნელი ზემოქმედების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა ახალი სადნობი ღუმელის საწარმოო შენობაში განთავსებას, ხოლო ალტერნატიული ვარიანტებიდან უპირატესობა მიენიჭა ელექტრორკალური ღუმელის გამოყენებას, რაც გზშ-ის ანგარიშის თანახმად, განპირობებულია ელექტრორკალური ღუმელის უპირატესობითა და თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ელექტრორკალური ღუმელის მოწყობით. ასევე აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის პროცესში ორივე ღუმელში ფეროშენადნობთა წარმოება მოხდება ერთი და იგივე ტექნოლოგიით.

2019 წლის 22 იანვრის N2-60 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, ფეროშენადნობების საწარმოში დაგეგმილი ფეროსილიკომანგანუმის დნობისათვის, გათვალისწინებული იყო 9 მგვტ სიმძლავრის, ნახევრად ღია ტიპის ღუმელის გამოყენება და წლის განმავლობაში 14 400 ტ ნედლეულის

წარმოება. ხოლო, პროექტში შეტანილი ცვლილებების თანახმად, დაგეგმილია საწარმოს წარმადობის გაზრდა 1.644 ტ/სთ-დან 4.8 ტ/სთ-მდე, რაც საწარმოში გათვალისწინებული 9 მგვტ-იანი ღუმელის გარდა, დამატებით ერთი - 18 მგვტ სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელის დამონტაჟებას გულისხმობს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ღუმელების ჯამური წარმადობის სრული ათვისებით კომპანია გეგმავს წელიწადში 42 048 ტ ფეროშენადნობის წარმოებას, ნაცვლად თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 14 400 ტონისა. ასევე აღნიშნულია, რომ დღეისათვის საწარმოსათვის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დამთავრებულია და მიმდინარეობს ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტში შეტანილი ცვლილებები საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის ცვლილებას არ ითვალისწინებს და არ მოხდება დამატებითი ტერიტორიების ათვისება, ასევე არ მოხდება მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება ან ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. დამატებით ახალი 18 მგვტ სიმძლავრის ღუმელის დამონტაჟება მოხდება უკვე აშენებულ საწარმოო შენობაში.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წარმადობის გაზრდის შემდგომ საწარმოში დასაქმებული იქნება 120 პირი (სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში 365 დღე; 8750 საათი), საწარმო იმუშავებს წელიწადში 365 დღე, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით.

საწარმოს შემადგენლობაში იქნება: სადნობი საამქრო; მტვერდამჭერი ფილტრები; დახურული საწყობი; მზა პროდუქციის 25 მ³/სთ წარმადობის სამსხვრევი დანადგარი; მასალების ღია საწყობი (სანაყარო); დენის ტრანსფორმატორი; ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტი (წიდის სანაყარო); წყლის რეზერვუარი; საოფისე შენობა; ტექნიკური წყლის რეზერვუარი; სასწორი; საოფისე შენობა და დაცვის ჯიხური.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ძირითადად წარმოებული იქნება წელიწადში 42 048 ტონა ფეროსილიკომანგანუმი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შემცირდება ფეროსილიკომანგანუმის წარმოება და წარმოებული იქნება ფერომანგანუმი, ფეროქრომი და ფეროსილიციუმი - თითოეული 6 000 ტონა წელიწადში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ყველა აღნიშნული პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი იდენტურია და განსხვავებული იქნება მხოლოდ გამოყენებული ნედლეული და მათი რაოდენობები. ფეროშენადნობების წარმოებაში წლის განმავლობაში მოხმარებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობა ფეროსილიკომანგანუმის წარმოებისას იქნება: მანგანუმის კონცენტრატი - 96600 ტ/წ; კვარციტი - 2100ტ/წ; კოქსი -18900ტ/წ; რკინის ბურბუმელა - 2100ტ/წ; კირქვა - 5040ტ/წ. (სულ: 124740ტ/წ; ღუმელების მუშაობის დრო 8750 სთ/წ) ფერომანგანუმის წარმოებისას: მანგანუმის კონცენტრატი - 15000ტ/წ; კოქსი - 2880 ტ/წ; რკინის ბურბუმელა - 1380ტ/წ (სულ: 19260ტ/წ; ღუმელების მუშაობის დრო - 1250 სთ/წ). ფეროქრომის წარმოებისას: მანგანუმის კონცენტრატი - 12300ტ/წ; კვარციტი - 420ტ/წ; კოქსი - 2520 ტ/წ. (სულ: 15240ტ/წ; ღუმელების მუშაობის დრო - 1250 სთ/წ) ფეროსილიციუმის წარმოებისას: კვარციტი - 10800ტ/წ; კოქსი - 5040ტ/წ; რკინის ბურბუმელა - 1500ტ/წ (სულ: 17340ტ/წ; ღუმელების მუშაობის დრო - 1250 სთ/წ).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესი იწყება ნედლეულის - საკაზმე მასალების საწყობში მანგანუმის მადნის კონცენტრატის და საკაზმე კომპონენტების შემოტანით. ნედლეული დაიყრება დახურულ (900 მ²) და ღია საწყობებში (2000 მ²), ღია საწყობის ტერიტორიაზე დაგეგმილია ძირითადი ნედლეული მანგანუმის კონცენტრატის დასაწყობება, ხოლო სხვა დამხმარე ნედლეული დასაწყობდება დახურულ საწყობში. ფეროშენადნობთა საამქროს ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობა შემდეგია: ნედლეული საწყისი ბუნკერიდან კონვეიერით მიეწოდება მთავარ ბუნკერებში (ღუმელის გვერდით ზოლურად განლაგებულ 8 ბუნკერს), თითოეული ნედლეულის აწონვის შემდეგ კონვეიერით მიეწოდება მთავარ ბუნკერს და შემდეგ შერეული და აწონილი კაზმი იყრება მთავარ კონვეიერზე, საიდანაც სკიპის საშუალებით ადის ღუმელის თავზე განლაგებულ ბუნკერების

ასავსებად. ბუნკერებიდან კაზმი მიეწოდება ღუმელს. ღუმელიდან მზა პროდუქციის და წიდის გამოშვება წარმოებს პერიოდულად ყოველ 2-2.5 საათში ერთხელ. გამოშვებული ლითონის ჩამოსხმა განხორციელდება ელექტრო ამწეების მეშვეობით შესაბამის ციხვებში. ლითონის გაციების შემდეგ მოხდება მისი მსხვრევა-დაფასოება საწარმოს ტერიტორიაზე 25 ტ/სთ წარმადობის სამსხვრევი დანადგარის მეშვეობით, რის შემდეგაც მოხდება პროდუქციის დაფასოება ბიგ-ბეგებში და განთავსდება მზა პროდუქციის დახურულ საწყობში, საიდანაც რეალიზაციის მიზნით გატანილი იქნება საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებით.

თანმდევი წიდა სათანადოდ აღჭურვილი არხებით (ღარებით) გაედინება ორმოებში (თითოეული ღუმელისათვის წიდის 2 ორმო), 9 მგვტ სიმძლავრის ღუმელის ორმოების მოცულობები იქნება დაახლოებით 3.5-4.0 მ³, ხოლო 18 მგვტ სიმძლავრის ღუმელის 5.5-6.0 მ³. ბუნებრივად გაგრილების შემდეგ, ხდება წიდის გატანა ექსკავატორის და თვითმცლელი მანქანების მეშვეობით ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტზე (5177 მ² ფართობის მქონე წიდის სანაყაროზე), რომელიც მდებარეობს საწარმოს ტერიტორიაზე.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ღუმელები წარმოადგენენ 20 მმ ფურცლოვანი რკინისაგან შეკრულ მრგვალ ქვებისებურ კონსტრუქციას, 60% მაღალალუმინიანი ცეცხლგამძლე აგურის (შამოტის) და სპეციალურ პასტის ამონაგებით, რომლებიც იქნებიან ღია ტიპის და დნობა განხორციელდება კონვექციის გზით. თითოეულ ღუმელს მოემსახურება ტრანსფორმატორი, რომელიც აღჭურვილი იქნება საფეხურების გადამრთველით, გაზისა და წნევის რელეთი, ზეთის ტუმბოთი, მარშალინგ ბოქსით და კიპის ხელსაწყოებით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს აირგამწმენდი სისტემა იქნება ორსაფეხურიანი, საწარმო აღჭურვილი იქნება ციკლონებითა და სახელოებიანი ფილტრებით, რის შედეგადაც გაწმენდილ აირმტვერნარევის მტვრის შემცველობა არ იქნება 20 მგ/მ³-ზე მაღალი, ხოლო აირგამწმენდი სისტემის გაწმენდის ეფექტურობა იქნება 99%. თითოეული ღუმელისათვის გათვალისწინებულია დამოუკიდებელი აირგამწოვი სისტემის და სახელოებიანი მტვერდამჭერი ფილტრის მოწყობა, საიდანაც გაფრქვევა მოხდება საერთო მილით. ფეროშენადნობის სადნობი ღუმელიდან, ჩამოსხმის უბნიდან და სამსხვრეველადან გამოყოფილი აირმტვერნარევეები, სავენტილაციო მილების საშუალებით მიემართება ციკლონისკენ, რომელიც, გზშ-ის ანგარიშის მიხედვით უზრუნველყოფს მტვრის 85 %-ის დაჭერას, სადაც მოხდება დიდი ზომის ნაწილაკების დალექვა და შემდგომ მიეწოდება სახელოებიან ფილტრებს, ხოლო ფილტრების გავლის შემდგომ 22 მეტრი სიმაღლის და 1.6 მ დიამეტრის მილით გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. ფილტრის გაწმენდა მოხდება ავტომატურ რეჟიმში შეკუმშული ჰაერის შებერვით, ხოლო ფილტრის სახელოების შეცვლა (ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით) 1-2 წელიწადში ერთხელ. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია რომ არაგეგმიური შეცვლა მოხდება უწყვეტი მონიტორინგის სისტემის საშუალებით მიღებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, კერძოდ: მტვრის ზენორმატიული გაფრქვევის ან ტექნიკური მომსახურების დროს გამოვლენილი ფილტრის ქსოვილის დაზიანების ფაქტების შემთხვევაში.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: არაორგანული მტვერი(20%-SiO₂), შეწონილი ნაწილაკები(TSP), ალუმინის ოქსიდი(Al₂O₃), კალციუმის

ოქსიდი(CaO), მაგნიუმის ოქსიდი(MgO), მანგანუმის დიოქსიდი(MnO₂), აზოტის დიოქსიდი(NO_x), გოგირდის დიოქსიდი(SO₂) და ნახშირბადის მონოქსიდი(CO).

გაზნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის პირობების გათვალისწინებით, რომელიც ძირითადად მიმდინარეობს ფეროსილიკომანგანუმის წარმოებისას. ანგარიშში ფონის სახით გათვალისწინებულია და შეფასებული საწარმოს მიმდებარედ არსებული შპს „მანგანუზ ინდასტრის“ ფეროშენადნობების, შპს „საქმილსადენმშენის“ ქვიშა-ხრემის სამსხვრეე-დამხარისხებლის, შპს „ბლექ სი გრუპის“ და შპს „საქმილსადენმშენის“ ასფალტის ქარხნების ექსპლუატაციის პროცესში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები. შპს „ექსიმ გრუპის“ საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ გადააჭარბებს უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობებს (პირდაპირი მანძილი 500 მ, არაორგანული მტვრის კონცენტრაცია, ზღვ-ს წილი 0,871მგ/მ³). ამდენად საწარმოს ფუნქციონირებისას მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების რისკების მინიმინიზაციის მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: გათვალისწინებულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემის დამონტაჟება. რომლის საშუალებით, სისტემატურ მონიტორინგს დაეკვემდებარება შეწონილი ნაწილაკები, აზოტის ოქსიდები და ნახშირბადის მონოქსიდი; გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების სისტემატური ინსტრუმენტული გაზომვები განხორციელდება აირმტვერდამჭერი ფილტრის გამოსავალზე; უწყვეტი მონიტორინგის სისტემიდან მიღებული შედეგების მეშვეობით, როგორც აღნიშნა მოხდება ნაჭრის ფილტრების (ფილტრის სახელოების) შეცვლა თანმხლები ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადებში და არაგეგმურად ფილტრის ქსოვილის დაზიანების შემთხვევაში. გარდა აღნიშნულისა, შეწონილი ნაწილაკების (მტვრის) და მანგანუმის ოქსიდის გავრცელების ინსტრუმენტული მონიტორინგი ჩატარდება საწარმოს საზღვარზე და 500 მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარზე (უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარი). მტვერში მანგანუმის ოქსიდის განსაზღვრა მოხდება ლაბორატორიულად შესაბამისი აკრედიტაციის ლაბორატორიის საშუალებით და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ღუმელის მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები, შედუღების ელექტროდების ნარჩენები, მუნიციპალური ნარჩენები და ა.შ), ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა, მათ შორის: წიდა, დაახლოებით 82 700 ტ/წ (კოდით 10.08.09), მტვერდამჭერი ფილტრებიდან მიღებული მტვერი 2.0-2.1 ათასი ტ/წ. (კოდით 10.08.16) სანიაღვრე წყლების გაწმენდის შედეგად მიღებული 200-300 კგ ლექი (კოდით 19 08 13*). გარდა აღნიშნულისა, ექსპლუატაციის პროცესში შეიძლება წარმოიქმნას ინდუსტრიული და სატრანსპორტო ზეთების ნარჩენები; ზეთებით დაბინძურებული ქსოვილების ნარჩენები; შედუღების ელექტროდების ნარჩენები; ნარევი შესაფუთი მასალა; აბსორბენტები, ფილტრის მასალები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილი იქნება ადგილობრივი დასუფთავების სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები დასაწყობდება შესაბამის სასაწყობო სათავსოში და გადაეცემა აღნიშნული ტიპის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდას განთავსება გათვალისწინებულია საწარმოს ტერიტორიაზე, სპეციალურად გამოყოფილ 5176.5 მ² ფართობის ტერიტორიაზე, აირმტვერდამჭერ სისტემაში დაჭერილი მტვერი როგორც ციკლონიდან, ასევე

სახელოებიანი ფილტრების ბუნკერებიდან განთავსდება ბიგბეგებში და დროებით დასაწყობდება საწარმოს დახურულ საწყობში ცალკე გამოყოფილ ტერიტორიაზე, ხოლო ლაბორატორიული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორს. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამომავლოდ შესაძლებელია განხორციელდეს მტვრის გრანულაცია და საწარმოო პროცესში დაბრუნება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის დაწყების შემდეგ მოხდება წიდის, მტვრის ნიმუშებისა და ლექის ლაბორატორიული გამოკვლევა. თუ ჩატარებული ანალიზების შედეგად ნარჩენები ჩაითვლება არასახიფათო ნარჩენად, მათი გადაცემა მოხდება სხვა კონტრაქტორებზე სამშენებლო მასალების წარმოებისათვის ან სხვა დანიშნულებით. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა მოხდება წარმოქმნის მიხედვით და ტერიტორიაზე შეიძლება დაგროვდეს არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მოწყობის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო მიზნით ($821.25 \text{ მ}^3/\text{წ}$) და საწარმოო ტერიტორიის მოწყობის პროცესში წარმოქმნილი ამტვერების საწინააღმდეგოდ ($70-75 \text{ მ}^3/\text{წ}$), რაც მშენებლობის პერიოდის (1-1,5 წელი) გათვალისწინებით შეადგენს 1307 მ^3 . ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით ($1971 \text{ მ}^3/\text{წ}$), გამაციებელი სისტემის (ბრუნვითი) ფუნქციონირებისათვის ($13\ 525 \text{ მ}^3/\text{წ}$), ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის, ნარგავების მოსარწყავად და მშრალ ამინდებში ამტვერების საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის ($1300 \text{ მ}^3/\text{წ}$). სახანძრო დანიშნულების და ტერიტორიის მოსარწყავად საჭირო წყლისათვის ტერიტორიაზე დაგეგმილია წყლის სამარაგო რეზერვუარის მოწყობა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად ტექნიკური დანიშნულების წყლის აღება მოხდება მდ. რიონიდან. წყალაღების წერტილის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატები იქნება $X=312228, Y=4671970$. სულ, მდ. რიონიდან საწარმოო დანიშნულებით აღებული წყლის რაოდენობა იქნება დაახლოებით $14\ 825 \text{ მ}^3/\text{წ}$. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირველ ეტაპზე საწარმოს სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება მოხდება შემოტანილი წყლით, ხოლო მომავალში საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამისი ლიცენზიის მიღების შემდგომ, დაგეგმილია ჭაბურღილის მოწყობა, რომლის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატები იქნება $X=312811, Y=4672069$. ჭაბურღილის წყლის გამოყენება დაგეგმილია როგორც სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ასევე ტექნიკური მიზნებისათვის.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით გათვალისწინებულია წყალარინების სისტემის მოწყობა, რომელიც დაერთდება $25-30 \text{ მ}^3$ მოცულობის ორ ერთეულ საასენიზაციო ორმოზე. მათი განტვირთვა მოხდება ე. ქუთაისის წყალკანალის სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ იქნება. ასევე, აღნიშნულია რომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის მქონე წყაროები (მაგალითად საწვავის რეზერვუარები და სხვა) წარმოდგენილი არ იქნება, თუმცა წყლის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების რისკი არსებობს მანგანუმის კონცენტრატის სანაყაროს და წიდის დროებითი განთავსების ტერიტორიებიდან. რის გამოც, პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მანგანუმის კონცენტრატის და წიდის სანაყაროს ტერიტორიებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების ორგანიზებული შეკრება და დაახლოებით 650 მ^3 მოცულობის სალექარის მოწყობა, საიდანაც გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება მდ. რიონში ღია არხის საშუალებით (ჩაშვების წერტილის კოორდინატებია: $X=312398, Y=4671710$). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად გაწმენდილ წყალში შეწონილი ნაწილაკების რაოდენობა არ იქნება 60 მგ/ლ -ზე მაღალი, ხოლო წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობა - $2\ 301 \text{ მ}^3/\text{წ}$.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს - ელექტროძრავები, კომპრესორები, ამწე-მექანიზმები, სამსხვრევი დანადგარი და სხვა. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ობიექტზე მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშებები და აღნიშნულია, რომ საწარმოში წარმოქმნილი ხმაურის ჯამური დონე იქნება 95.7 დბა, თუმცა ხმაურის გამომწვევი დანადგარების დახურულ შენობაში განთავსების, უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილისა და სხვადასხვა ხმაურის გავრცელების ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერების გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება არაუმეტეს 35 დბა.

ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება მაღალი ტვირთამწეობის (საშუალოდ 20 ტ) სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა გადაადგილება დაგეგმილია აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო მაგისტრალის (E 60) და ქუთაისი-ბაღდადი-აბასთუმნის საავტომობილო გზის (შ 14) მეშვეობით. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დამატებითი ღუმელის მოწყობის ეტაპზე დაგეგმილია მცირე მოცულობის სამშენებლო სამუშაოები, რის გამოც სატრანსპორტო ოპერაციები არ იქნება მნიშვნელოვანი და დღიურად შესრულდება დაახლოებით 3-4 სატრანსპორტო ოპერაცია. ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე, წლის განმავლობაში შესრულდება დაახლოებით 8 400 სატრანსპორტო ოპერაცია, რაც დღის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 23 სატრანსპორტო ოპერაციას. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საჭირო არ იქნება საცხოვრებელი ზონების ტერიტორიებზე გამავალი საავტომობილო გზების გამოყენება, რის გამოც სატრანსპორტო ნაკადზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი; სატრანსპორტო ოპერაციების დღის საათებში განხორციელება; სატრანსპორტო ოპერაციებისას უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა, სიჩქარეების შეზღუდვა და სხვა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის ეტაპზე შეფასდა კუმულაციური ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე, აკუსტიკურ ფონსა და სატრანსპორტო ნაკადებზე. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება განხორციელდა მიმდებარე ტერიტორიებზე მოქმედი (შპს "საქმილსადენშენი" და შპს „ბლექსი გრუპი“) და პერსპექტიული (შპს „მანგანუზ ინდასტრის“) საწარმოების ყველა წყაროს ერთდროული ფუნქციონირების შემთხვევისათვის და დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი ზონისა და 500 მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარზე ატმოსფერულ ჰაერში გაბნეულ მავნე ნივთიერებათა მაჩვენებლები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს. აგრეთვე, გაანგარიშებებით დადგინდა, რომ ადგილი არ იქნება უახლოეს მოსახლესთან ხმაურის დასაშვები მნიშვნელობების გადაჭარბებას, ხოლო საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში დაგეგმილი სატრანსპორტო ოპერაციების ოდენობიდან გამომდინარე, სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ელექტრომომარაგება განხორციელდება არსებული ელექტრომომარაგების ქსელიდან. 35 მვა სიმძლავრის ტრანსფორმატორის დამონტაჟება გათვალისწინებულია საწარმოო საამქროს დასავლეთით გამოყოფილ ტერიტორიაზე, საიდანაც დენის მიწოდება მოხდება საწარმოში სადნობ ღუმელებთან მდებარე ე.წ საღუმელე ტრანსფორმატორებზე, რომელთა სიმძლავრე იქნება 9 მვა და 18 მვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავარიული სიტუაციების შემთხვევაში ტერიტორიაზე ზეთის გავრცელების პრევენციის მიზნით 35 მვა სიმძლავრის ტრანსფორმატორი განთავსებული იქნება ზეთშემკრებ ავზზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ექსპლუატაციის პირობების ცვლილება საწარმოს ტერიტორიაზე დამატებითი შენობა-ნაგებობების მოწყობას არ ითვალისწინებს, რის გამოც ნიადაგზე ზემოქმედება და ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებებთან დაკავშირებული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია ფლორისტული თვალსაზრისით დაბალ სენსიტიურია და საპროექტო ტერიტორიის არეალი ძირითადად წარმოდგენს ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშ მყოფ ტერიტორიას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ცხოველთა საბინადრო ადგილების თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია ნაკლებად ხელსაყრელია და საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ან საერთაშორისო შეთანხმებებით დაცული მცენარეთა და ცხოველთა სახეობები წარმოდგენილი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 29 აგვისტოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საქმიანობის განმახორციელებელი შპს „ექსიმგრუპის“, გზმ-ის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანია - შპს „გამა კონსალტინგის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვის დროს დასმული შეკითხვები ეხებოდა წყლის რესურსებზე, ატმოსფერულ ჰაერსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე/პროდუქციაზე ზემოქმედებების საკითხებს. საჯარო განხილვის მსვლელობისას გამოთქმული შენიშვნები/შეკითხვები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, რელიეფი, კლიმატი, გეომორფოლოგია, ბიოლოგიური გარემო, ჰიდროგეოლოგიური და გეოლოგიური პირობები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, ასევე ამავე კოდექსის I დანართის 5-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ექსიმგრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ექსიმგრუპმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, დამატებითი დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის,

გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

4. **შპს „ექსიმგრუპმა“** ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს გაწმენდილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგის წარმოება კვარტალში ერთხელ შეწონილ ნაწილაკებზე და შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა;
5. **შპს „ექსიმგრუპმა“** ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების” შესაბამისად;
6. **შპს „ექსიმგრუპმა“** უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
7. **შპს „ექსიმგრუპმა“** საწარმოს ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GIS კოორდინატები. საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
8. **შპს „ექსიმგრუპმა“** უზრუნველყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება მტვერ(TSP)-ზე, რომელშიც განსაზღვრული იქნება მანგანუმის ოქსიდის(MnO2) შემცველობა და მავნე ნივთიერება აზოტის დიოქსიდ(NOx)-ზე საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში კვარტალში ერთხელ და შედეგების წელიწადში ორჯერ სააგენტოში წარმოდგენა;
9. **შპს „ექსიმგრუპმა“** ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
10. **შპს „ექსიმგრუპმა“** საწარმოს ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ნარჩენი წილის დროებითი დასაწყობების მეთოდებისა და პირობების, ასევე წარმოქმნილი ნარჩენების (წიდა და ფილტრის ნალექები) შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;
11. **შპს „ექსიმგრუპმა“** საწარმოს ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს, მადნის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული ავტომობილების ძარისა და საბურავების გარეცხვისათვის განსაზღვრული ტერიტორიის შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;
12. **შპს „ექსიმგრუპმა“** საწარმოს ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიის პერიმეტრზე ხე-მცენარეების ზოლის გაშენება და შემდგომ მისი მოვლა-პატრონობა;
13. **შპს „ექსიმგრუპმა“** ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების ტექნიკური კონტროლი;

14. შპს „ექსიმგრუპი“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
15. შპს „ექსიმგრუპმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
16. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ექსიმგრუპს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
17. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ექსიმგრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
18. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

